საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

ბრძანება

N 1560-03
25/08/2021

ქ. თბილისი

“2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის, საბუთების მიღებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების თარიღების დამტკიცების შესახებ”
სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 26 ივლისის N 1416-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინიტსრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება „2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის, საბუთების მიღებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების თარიღების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 26 ივლისის ბრძანების მე-4 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
   “4. 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველებს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები, გარდა თანამედროვე საქართველოს ისტორიის (ინგლისური ენის ტესტირება) სამაგისტრო პროგრამისა ჩაუტარდებათ დისტანციურად, პროგრამა ზუმისა და პლატფორმა Elearning-ის გამოყენებით.“
2. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს.

გიორგი გვალია

დეკანი